ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის არქიტექტურის
სამსახურს

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში თამარაშვილის ქ. №13კ. მისამართზე არსებულ საცხორებელი კორპუსის მიმდებარედ შ.პ.ს. (გრინ სითი) იწყებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი მშენებარე კორპუსის საძირკვლის დაფუძნების ნიშნული სიღრმეში ათეული მეტრით სცდება არსებული კორპუსის საძირკვლის დონეს. აღნიშნულ პირობებში დღეს საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმების და წესების თანახმად ქვაბულის მოწყობის სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია არსებული შენობის საძირკვლის კონტურზე (კონკრეტულად ქვაბულის ფერდის მოსაზღვრე მონაკვეთზე) სპეციალური გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. გთხოვთ დაგვიდასტუროთ ზემოთ აღნიშნული სამუშაოების არსებობა მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ დატკიცებულ პროექტში. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში საქართველოში მოქმედი სასამართლო კანონმდებლობის შესაბამისად მოვითხოვთ სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას აღნიშნულ ტერიტორიაზე კვალიფიციური კვლევების ჩატარების და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მიღემადე.

თამარაშვილის №13კ სასალტნო კოდი
01.10.16.004.170

პატივისცემით: თამარაშვილის №13კ მაცხოვრებელთა სახელით
ამხანაგობა „მწვანე რეზიდენსის" თავმჯდომარე:
სერგო გაგუნია. ტ 595-577-520
მის: თამარაშვილის №13კ ბ.6.

თარიღი: 22.04.2018წ

PS. გთხოვთ გვაცნობოთ ვინ ოპერატით ის მანძილი ჩვენი კორპუსიდან მიმდებარეთ მშენებარე კორპუსამდე.